,,ვამტკიცებ“

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის

პრეზიდენტი

გ. ცაავა

16. 04. 2026წ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის - ბატონი ნოდარ ახალკაცის სახელობის თბილისის XVII საერთაშორისო ფესტივალი ფეხბურთში 2015 – 2016 – 2017 წელს დაბადებულ მოზარდთა გუნდებს შორის

(28 მაისი - 1 ივნისი 2026 წ.)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

1. მიზანი და ამოცანები.

- ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
- საფეხბურთო გუნდებისათვის რეზერვების მომზადება;
- საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა;
- საერთაშორისო სპორტული კავშირების გაღრმავება;
- საერთაშორისო გამოცდილების შეძენა;
- გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- ფესტივალის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ატარებს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ).

- თამაშები ჩატარდება ვიტალი დარასელიას სახელობის ,,დინამოს" აკადემიის მოედნებზე.

3. მონაწილე გუნდები

3.1. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების, აგრეთვე უცხოეთის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2015-2016-2017 წელს დაბადებული ჭაბუკები.

3.2. მატჩის ხანგრძლიობაა 40 წუთი (20 – 20წთ.), 5 წუთი შესვენებით;

3.3. 2015 და 2016 წელს დაბადებული ჭაბუკები ითამაშებენ 1 კარში და 8 წინ, ხოლო 2017 წელს დაბადებულები - 1 კარში და 6 წინ. ბურთის ზომა N4.

3.4. ფესტივალში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;

3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

3.5.1. მოგებათა მეტი რაოდენობა;

3.5.2. უშუალოდ ერთმანეთან შეხვედრების შედეგები;

3.5.3 ჯგუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

3.5.4. ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

3.5.5. ფეირ-ფლეის შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა;

3.5.6. იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა საუკეთესო მესამე ადგილოსნების გამოვლენა გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპი: პირველად უპირატესობა მიეცემა გუნდს ვისაც მეტი ქულები აქვს დაგროვილი ჯგუფებში მესამე ადგილზე გასულ გუნდებს შორის, შემდეგ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი ბალანსი, ხოლო ბოლოს მეტი გატანილი ბურთები. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

3.6. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 16 ფეხბურთელი;

3.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.

3.8. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;

3.9. ფედერაცია ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;

3.10. ფესტივალში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;

3.11. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

4.1. გუნდებმა განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2026 წლის 27 მაისისა.

4.2. თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 16 ფეხბურთელი.

4.3. რეგიონებიდან ჩამოსულ გუნდებს განაცხადზე უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ფედერაციის ბეჭედი.

4.4. განაცხადთან ერთად გუნდებმა უნდა წარმოადგინონ საგანმანათლებლო სკოლის ცნობა, ასაკის ჩვენებით დამტკიცებული დირექტორის ბეჭდით.

4.5. გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით.

5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

5.1. ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.

(სამივე ასაკში ზუსტი სისტემის დანართს გუნდებს ვაახლებთ კენჭისყრის შემდეგ.)

5.2. 2015 – 2016 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი გაიმართება მოედნებზე, რომლის ზომაა 60 მეტრი X 40 მეტრი, კარის ზომა 5მ X 2 მ. 2017 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი გაიმართება მოედანზე, რომლის ზომაა 40 მეტრი X 25 მეტრი, კარის ზომა 3მ X 2 მეტრი.

5.3. 2017 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში ნებადართულია მეკარის მიერ, პარტნიორისაგან ბურთის ხელში აღება.

6. მსაჯობა

6.1. თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურეობის ხარჯებს აანაზღაურებს თფფ;

6.2. მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით. გაძევებული ფეხბურთელი აღნიშნულ მატჩს ვეღარ გააგრძელებს, მის ნაცვლად შეუძლია ითამაშოს ნებისმიერმა ფეხბურთელმა.

6.3. მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.

7. საჩივრის შეტანის წესი

7.1. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია საჩივრის შემთხვევაში გააფრთხილოს მატჩის დამთავრებისთანავე მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

8. სადისციპლინო სანქციები

8.1. გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი.

9. ფინანსები

9.1 ჩამოსული გუნდები დაბინავების და კვების ხარჯებს ფარავენ თვითონ.

9. 2. ფესტივალში მონაწილეობის თანხაა 400 (ოთხასი) ლარი.

თფფ-ს საბანკო რეკვიზიტებია:

ა(ა) იპ. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

ს.კ. 202886519

ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE36LB0115112049422000

10. დაჯილდოვება

10.1. ფესტივალის პრიზიორები დაჯილდოვდებიან ახალი სპორტული ეკიპირებით, თასებით,სიგელებით და მედლებით.

10.2. ფესტივალის პრიზიორი გუნდების მწვრთნელები დაჯილდოვდებიან სპორტული ეკიპირებით.

10.3. ყველა ასაკში გამოვლინდება ,,ყველაზე მებრძოლი გუნდი" (IV ადგილი),

რომლებიც დაჯილდოვდებიან თასებით და სიგელებით.

10.4. ყველა ასაკში გამოვლინდება ,, საუკეთესო მეკარე", ,,საუკეთესო მცველი", ,,საუკეთესო თავდამსხმელი" და ,,საუკეთესო ფეხბურთელი". ყველა ნომინანტი დაჯილდოვდება შესაბამისი პრიზით და სიგელით.